№ 496. სამშაბათი, 31 მარტი. 1896–1898 სამშაბათი, 31 მარტი, № 496.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების" წიგნის მაღაზია.
ა მოუწონარ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს
რისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ.
მეოთხეზე 5 კაპ.
Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Фреилинская №1
Телефонъ № 363.

„ცნობის ფურცლის"
რედაქცია
ამ თვის დამლევს
გადადის სათავ.-აზნ. ქარვასლაში

კახური ღვინის საწყობი
ხაჩატუროვისა და მჭედლოვისა
პუშკინის ქუჩა, ტერ-ასატუროვის მამულში (ერევნის მოედანზე)
სააღდგომოდ!!
საუკეთესო ღვინო ბოთლი 15 კაპ. 1 მან.-მდე
16 ბოთლი კარგი ღვინო
2 მან. 20 კაპ.
სააღდგომოდ!!
ყველას ვსთხოვთ ნახონ ქარხანა და გემო
(5—2) პატივის-ცემით ხაჩატუროვი და მჭედლოვი.

ქუდების და შლაპების
სახელოსნო და მაღაზია
დ. გვახარიასი
ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, მუხრან-ბატონის სახლი
დიდძალი საქონელი
სააღდგომოდ
ქუდები და შლიაპები ვაჟებისა, ქალებისა და ყმაწვილებისა
იაფობა!
გადაკეთება შლაპებისა ახლებზე და ნახმარის შეკეთება
ШЛЯПНАЯ МАСТЕРСКАЯ
Д. Гвахарія
къ ПАСХѢ БОЛЬШОЙ ВЫБОРЪ ДЕШЕВИЗНА
(13—12) шляпъ женскихъ, мужскикъ и дѣтскихъ.
Тифлисъ, Лорисъ-Меликовская ул. д. кн. Багратіонъ-Мухранскаго.

იაფობა
გაზრობა
ლორთქიფანიძეს
სავაჭრო და მაღაზია
თამამშევის ქარვასლაში № 3 და 4, შტაბის მხრივ, სასტ. «კავკაზ»-ის პირდაპირ.
მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ დღეიდან ჩემს სავაჭროში დავნიშნე
იაფობა-ვაჭრობა
იყიდება ყოველგვარი საფართლო, საფარჩეულო და საქონელი ● ბრეშუმეული, შალი, ლეღვი ● ტილოეული, ბამბეული და სხ.
= ფასები ყველაფერზე ძლიერ დაკლებულია =
ფასები ჩვეულებრივზე და ქარხნების ფასებზე 20 და 30 პროცენ. ნაკლებია!!
თხოვთ ყველას მობრძანდნენ და თვითონ დარწმუნდნენ ჩვენის საქონლის იაფობაში, თამამშევის ქარვ. № 3 და 4, შტაბის პირდაპირ.

Магазинъ Лордкипанидзе
Караванъ-сарай Тамамшева, № 3 и 4, противъ Гл. штаба
НАЗНАЧЕНА БОЛЬШАЯ РАСПРОДАЖА
уступка отъ 20 до 30°/₀°/₀ съ фабричныхъ цѣнъ
(30—26) პატივისცემით ლორთქიფანიძე.



აუარებელი რიცხვი
საკერავ მაშინებისა
ყოველგვარი სისტემისა და ყოველგვარი ხარისხისა, როგორც საშინაოდ – ოჯახში სახმარებლად, აგრეთვე სხვა-და-სხვა სახელოსნოებისათვის.
პირველ ხარისხოვანი და საგანგებო
ველოსიპედები
(თვით-მავალა)
ინგლისის, საფრანგეთის და გერმანეთის ქარხნებიდან
ყველაფერი იყიდება შეღავათიანის ფასით
ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილად
ყველაფერი, რაც-კი ამ სავაჭრო სახლიდან გაიყიდება, მკვიდრი და მაგარია, რაშიაც სრული თავდებობაა
სავაჭრო სახლი
ს. პ. პავლოვისა
და ამხ.
ტფილისში
ლორის-მელიქოვის ქუჩა № 6.
ტელეფონი 349
Телефонъ 349
Торговый домъ
С. П. Павлова и К⁰
Тифлисъ, Лор.-Меликовская ул. № 6, противъ Правос. Семинаріи
Богатѣйшій выборъ
Швейныхъ машинъ
и
ВЕЛОСИПЕДОВЪ
(100—14)

მთავრობისაგან ნება დართული
პანსიონი და სასწავლებელი
მასწავლებელი ქალის
ნ. დიდებულიძისა
ტფილისი, მიხეილის ქუჩა, ხერხეულიძის სახ. № 146.
დებულობენ ბავშვებს მოსამზადებლად საშუალო სასწავლებლებში.
ბავშვები მიიღება სასწავლებლად და საცხოვრებლადაც.
მიიღება აგრეთვე საქალებო გიმნ. მოწაფეებიც სადგომად და საცხოვრებლად.
პანსიონში ასწავლიან მუსიკას (პიანოზე და ვიოლონი)
მოლაპარაკება პირობებზე დილის 10 საათ. 3 საათამდე.

ПАНСІОНЪ И УЧИЛИЩЕ
Учительницы
Н. ДИДЕБУЛИДЗЕ
Тифлисъ, Михайловок. ул. № 146.
Принимаются дѣти женскаго пола приходящ. и полнымъ пансіонерк. Квартиры съ полнымъ содержачніемъ для учениц гимназіи. Обученіе музыкѣ
(150—129)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ვ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, ქალებისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ვ. თოფურია.
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. კ. ბერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოზანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი ს. ვ თოფურია.
Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

გამოვიდა და იყიდება
ცხოვრება
ღირსისა და ნეტარისა
თეოდორასი
გამოცემული
მორჩილის რაჟდენ ბარამიძისაგან
ფასი 5 კაპ.
იყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში და ეკკლესიებში. (10—5)

ისყიდება
ორსართულიანი სახლი
თავის 65 საჟენი ადგილით
ქუთაისში, ალექსანდრეს ვიწრო ქუჩაზე
მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ
ეფემიას მდივნისას. (2—1)

დეპეშები

გაზეთ „ცნობის ფურცლისა"
(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

29 მარტი.

ლონდონი. „Times"-ში დეპეშით იუწყებიან: „მოსალოდნელია, რომ ინგლისსა და საფრანგეთს შორის საქმე შეთანხმებაზე მივა, რომლის ძალით დადგენილება სიამის შუა ნაწილის განკერძოების შესახებ გავრცელდება კვანგ-ტუნგსა და კვანგსინზე. ხმა დადის, ბრიტანიის ტერიტორიის გაფართოება კაულუნგთან, გონკონგის პირდაპირ, მაშინვე მოხდება, როგორც-კი საფრანგეთი კვანგჩაუ-ვანას დაიჭერს, სადაც აშენებულ იქმნება კუთხის სადგური."

იოკაგამა. პირველმა მინისტრმა მიიღო პარლამენტის ორივე პალატის შეერთებულ წევრთა დეპუტაცია, რომელმაც ამას წინად მიიღო განაჩენი რუსეთისა გერმანიის მოქმედების წინააღმდეგ და რომელიც მოითხოვს იაპონიის ჯარის დატოვებას ვეიხაივეიში? მინისტრმა უარი განუცხადა ვერავის ვაუწყებ მთავრობის პოლიტიკასაო.

ლონდონი. პეკინიდან იუწყებიან, რომ ჩინეთის მთავრობამ გადასწყვიტა კარი გაუღოს პორტ ვუზონგში, რომელიც რამდენსამე მილზე იმყოფება შანჰაიდან საურთიერთო ვაჭრობას, ხელშეკრულობის ძალით. ოფიციალურად განცხადებულია, რომ ინგლისს ამ წლის გასულს განზრახვა აქვს შეუდგეს ტარიფის გადასინჯვას ტიანძინის 1857 წლ. ხელშეკრულობის ძალით

პარიზი. ზოლას საქმის გარჩევას საადმინისტრაციო სასამართლო შეუდგება მხოლოდ საკანონმდებლო არჩევნების შემდეგ.

ვაშინგტონი. გუშინ კაბინეტმა განიხილა სახელმწიფოთა ნოტა. მაგრამ ცხადია, რომ ნოტა ვერ იქონიებს ზედ-მოქმედებას საქმეთა ვითარებაზე. ომი აუცილებელია. ამბობენ, გერმანია, რუსეთი და იტალია შეუერთდნენ საერთო წარდგენილებას, სხვა სახელმწიფოებთა თავაზიანობის დასაცველად; მაგრამ თვითონ საგანს განურჩევლად უყურებენო.

მადრიდი. ელჩების მიერ გუონის ნახვის გამო მოწვეულ იქმნა მინის-

ტრთა საბჭო. რომელმაც გადასწყვიტა ჩამოაგდონ მორიგება ყუბის ინსურგენტებთან.

ახალი ამბავი

*** **საქართველოს ექსარხოსი** მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესი ფლაბიანე, 29 მარტს სიონის ტაძარში წირვის გადახდის შემდეგ, ეწვია ყოვლად-უსამღვდელოეს ალექსანდრეს, გორის ეპისკოპოსს. იმავე დღეს ექსარხოსი სადარბაზოდ ბრძანდებოდა მისი იმპერატორებითი უმაღლესობის დიდი მთავრის ნიკოლოზ მიხეილის ძისას და აგრეთვე კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდ. ადმასრულებლის ა. ა. ფრეზესთან, კანცლერთან გენერალ თავ. ი. გ. ამილახვართან, ტფილისის გუბერნატორთან დ. ს. ს. თ. ა. ბიკოვთან, ტფილისის თავად-აზნაურთა წინამძღოლ თავ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრანბატონთან. მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე იმავე დღეს ეწვია მის მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობას.

*** **„ახალი მკითხველის“ საზოგადო კრება.** 29 მარტს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში მოხდა „ახალი მკითხველის“ წევრთა საზოგადო კრება. კრება გაიხსნა $8\frac{1}{2}$ საათზე და შეუდგა იმ კითხვის განხილვას, თუ როგორ უნდა იქმნეს მოხმარებული გაუქმებულ ამხანაგობის „ახ. მკ.“-ის დარჩენილი ქონება. ამ საგნის შესახებ კრებაზე წამოადგინეს სამ გვარი წინადადება: ა) მოხმარდეს ამხანაგობის ქონება საზღვარ გარეთ მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობას, თანახმად „ახ. მკ.“-ის წესდებისა, ბ) ფულად იქცეს იგი და სხვა ფულთან ერთად დაუბრუნდეს ამხანაგობის წევრთ ან და გ) ამხანაგობის ქონებით გამოიცეს ახალ ახალი წიგნები და დაურიგდეს ამხანაგობის წევრთ. ამ კითხვებმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია, მაგრამ კრება მათ შესახებ ვერ დაადგა ვერც ერთ გადაწყვეტილ აზრს. ამის გამო არჩეულ იქმნა კომისია სამი კაცისაგან, რომელსაც მიენდო ამ კითხვების გადაწყვეტა.

შემდეგ კრებას წაუკითხა თვისი პროექტი იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ამხანაგობის ახალი ორგანიზაციის შემუშავება. ამ პროექტით ახალ ამხანაგობას, სახელწოდებით „შრომას,“ გაუქმებულ ამხანაგობასთან საერთო მხოლოდ მიზანი და მიმართულება ექნება, ხოლო ამხანაგობის ორგანიზაცია სრულიად შეცვლილია და დამყარებულია პაების საფუძველზე, დაახლოვებით ისე როგორც ჩვეულებრივ ყოველი სხვა ამხანაგობა. კრებაზე რამდენიმე აზრი გამოითქვა პროექტის უმთავრეს მუხლების შესახებ და შემდეგ კრება დაიხურა.

*** **ქუჩების მოკირწყვლა.** ქალაქის გამგეობისა, ტეხნიკოსთა კომისიისა და საბჭოს რამდენისამე ხმოსნის კერძო სხდომაზე 27 მარტს უმრავლესობამ საჭიროდ სცნო აღიძრას შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს ქალაქს აიღოს სესხად 2,000,000 მან. ქუჩების შესაკეთებლად და მოსაკირწყლავად, ჰკირწყლოს ქუჩები თან და თან და შეიმუშაოს სავალდებულო დადგენილობანი სახლის პატრონთა ხარჯით ქალაქის გაწმენდის შესახებ.

*** **სამხედრო ბეგარის მოსახდელად მოწვეულ ყმაწვილ კაცთა სიები.** 8 აპრილიდან 22-მდე ტფილისის გამგეობა გამოაქვეყნებს და გამოჰკიდებს ქალაქის გამგეობის ჭის კართან ველიამინოვის ქუჩის მხარეზე იმ პირთა სიებს, რომლებიც დაბადებულან 1876 წ. 1 ოქტომბრიდან 1877 წლ. 1 ოქტომბრამდე. და რომლებსაც ამა 1898 წ. მოუწევთ სამხედრო ბეგარის მოხდის ყავლი. მკითხველთა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ ვინც იმ სიებში რაიმე შეცდომას შენიშნავს, ამის შესახებ უნდა განუცხადოს სამხედრო საკრებულოს ზემო აღნიშნულ დროის (8—22 აპრ.) განმავლობაში, და წარუდგინოს მას მეტრიკული მოწმობა, რომლისთვისაც საჭირო არ არის ღერბის მარკა ხოლო ის 21 წლის ყმაწვილ კაცები, რომლებიც არ შეუტანიათ ამ სიებში და რომლებიც ამას არ განაცხადებენ, ჰკარგავენ უფლებას კენჭის ყრაზე და მიღებულ იქნებიან სამხედრო სამსახურში უკენჭოდ; ამის გამო იმ პირთ, რომელთაც 21 წ. შესრულებიათ უნდა წარმოადგინონ მეტრიკული მოწმობა და ითხოვონ ახლავე შეგვიტანეთ აღნიშნულ სიებში.

*** **ახალი რკინის გზა.** კავკავის რკინის გზას განზრახვა აქვს, როგორც-კი დაამთავრებს ბალანჯარ-დარუბანდ-პეტროვსკის რკინის გზის აშენებას, გაიყვანოს რკინის გზა მოსკოვისა, როსტოვისა და ტფილისის შესაერთებლად.

*** **ბავშვის მოკვლა ავლაბარში.** ავლაბარში, ხოჯევანქის უბანში, მოხდა ერთი შემაძრწუნებელი ამბავი. წარსულს კვირას შუაღამისას ერევნის მცხოვრებელმა მ—ჩ ქ—ცმა შეუბრალებლად მოჰკლა თავისი შვილი 3 წლის ქალი. აი ამ საქმის გარემოება როგორ ყოფილა: როდესაც დაუძინიათ სახლში ყველას, შუაღამისას ყმაწვილს გამოჰღვიძებია და პური მოუთხოვნია; რასაკვირველია, ყმაწვილი უჩუმებიათ, მაგრამ მას არაფერი შეუსმენია. შემდეგ განრისხებული მამა წამომდგარა და უცემნია; ამას დედაც მიჰშველებია, მაგრამ დედისთვისაც უცემნია; ისიც აღარ უკმარებია და ყმაწვილი დედამიწაზე დაუნარცხებია, რაც ძალი და ღონე ჰქონია. ცოტა ხნის შემდეგ ყმაწვილი გარდაიცვალა. ამ ამბავმა მთელს უბანში, ვინც-კი გაიგო, ყველას თავ-ზარი დასცა.

ამგვარი ამბავი მარტო მდაბიო, უსწავლელ ხალხში ხდება და სწორედ ავლაბარიც ასეთის ხალხის ბუდეა. აქ ამისთანა შემთხვევები პირველი არ არის. დროა სასტიკი ყურადღება მიექცეს ასეთს საქციელს და შესაფერად აილაგმოს ჩამდენი.

ივ. ვერმიცანა

*** **ისევ ტფილისის მეფურნეებზე.** ბევრი რამ თქმულა და ბევრჯელაც დაწერილა ტფილისის მეფურნეების უსუფთაობაზე, მაგრამ მათ თავგასულობას მაინც არა ეშველარა. გადასტეხავთ თუ არა პურს, უეჭველად შეგხვდებათ ჭიაღუა და ან სხვა რამ უსუფთაობა. დრო არის ყურადღება მიაქციონ ქალაქის სანიტარებმა, ამ საჭირო საქმეს და აგვაშორონ წმინდა პურის მაგიერ, ჭია ღუიდან პურის ჭამას.

*** **გაჭირვებული თავადიშვილი.** ამას წინათ ჩვენს ქალაქში ჩამოვიდა ს. კარდახანიდან (სიღნაღის მაზრა) ქვრივი, მშიერი, მწყურვალი და ტიტველ-შიშველი ერთი ჩვენი თავადიშვილთაგანი გამოდევნილი თავის ძმებისაგან უმწეო და დაჩაგრული. დიდხანს, თურმე, დადიოდა ქალაქის სხვა და სხვა ქუჩებში ფეხით-შიშველი და თხოულობდა მოწყალებას. აქამდის ვერის თავშესაფარში (ღამის სათევი) ატარებდა ღამეს და მარტო ღმერთი ზრუნავდა მისთვის. მაგრამ არ გაიარა დიდმახანმა და შეხვდა მას მისივე მეზობელი თავადიშვილი.—ყმაწვილმა კაცმა მიიღო მეზობლის უბედურებაში დიდი მონაწილეობა და აუწყა ყველა «კეთილ ხალხთ», რომელთაც მიუთითეს «ამასა და იმასთან წაიყვანეთო, ის შეეწევაო». თუმცა კი უშოვნა სამოწყალოთ დროებითი ოთახი და საჭმელი, მაგრამ ჯერჯერობით ბევრი რამ აკლია: ტანთსაცმელი და ყურადღება. აი ამ ყურადღებასთა მიაქცევთ კეთილსინიდისიერს გულს ჩვენის საზოგადოებისას, რომ მიიღონ მონაწილეობა და რამ აღმოუჩინონ ბედშავ თავადიშვილს. ჩვენ გვაკვირვებს კარდახანის საზოგადოების გულცივობა უყურადღებობა! ბიბლიოთეკებს აარსებენ, დეპოებს ხსნიან, ყველასფრით დახმარებას უწევენ საზოგადოების წინსვლას. ესლა, ეს კი საზოგადოების წინსვლას არ შეეხება? ესკი მათი მოვალეობა არ არის რომ უმწეოს და უმართლოდ დაჩაგრულს მფარველობა გაუწიონ! ასე როგორ უნდა დასჩაგრონ თავადიშვილი. ასე როგორ უნდა გაუჭირონ საქმე, რომ გამოქცევა არჩიოს სახლიდან და აქ, ქალაქში ქუჩა-ქუჩა პურის და ფულის თხოვნა იკისროს მერე ისიც რა,—ამბობს საწყალი: „თუ მე შველა რამ, მეშველა; თუ არა და ჩემის ცოცხალის თვით ძმებს არ დავენახვებიო; წავალ და მტკვარში თავს დავიხრჩობო!“

ეხლა, როგორც უკვე ვთქვით, იგი იმყოფება შეხიზნებული ერთს პატარა «ნესტიან» ოთახში და სამადლოთ იკვებება. ორმა ახალგაზრდა ხელის მომწერი სია გამართეს და იმედია შიმშილით აღარ მოკლამენ, მაგრამ როდემდის იყოს აგრე საბრალო. სასურველია, რომ ამ გარემოებას სხვა გაზეთებიც მიაქცევდნენ ყურადღებას. შემწეობის აღმოჩენის მსურველთ შეუძლიან მიმართონ ამ ადრესით:

პირველ ავრაკის (ხევის) ქ. სახლი თეთრაძისა № 5 ვლადიმერ ფავლენიშვილს

ვ. ფ.

*** **თელავი.** (კახეთი) ი. ცისკარაშვილი. კიდევ ერთი საუკეთესო ქართველი დაგვაკლდა. ვინ იფიქრებდა ისე ახალგაზრდა და მომავალით სავსე ჭაბუკის სიკვდილსა! 22 მარტს დილის 6 საათზე სოფელს ახმეტაში გარდაიცვალა იოსებ დავითის ძე ცისკარაშვილი, პსევდონიმით ი. კახელი. ამ უკანასკნელ დროს თიანეთის სამაზრო გამგეობაში მსახურებდა და თავისი 4 წლის იქ ყოფნა აღნიშნა დეპოსა და ბიბლიოთეკის დაარსებით. ყველა გაჭირვებულის და დაჩაგრულის მეგობარი და პატრონი ცდილობდა თიანელების საქმე უკეთესად მოეწყო. უმუხთლო სიცოცხლემ და როცა უფრო უკეთ იყო შეიარაღებული მოძმეთა საშველად, სწორედ მაშინ წარიტაცა იგი სიკვდილმა. თავის მოკლე ხნით სიცოცხლეში არც ერთხელ არ უმტყუნია საზოგადო საქმისათვის, არც ერთხელ კერძო ინტერესი არ გაუბატონებია საერთოზედ. 25 მარტს იმისი გვამის გამოსასვენებლად მთელი თელავი იყო შეკრებილი. ეკკლესიაში რომ არ დაეტია ხალხი, ანდერძი ეკკლესიის ეზოში აუგეს და ისე წაასვენეს საზოგადო სასაფლაოზე. კუბო მრავალი გვირგვინებით იყო შემკული. აქ იყო გვირგვინები თიანეთის საზოგადოებიდან და კერძო პირებიდან, თელავში მცხოვრებელთა მეგობრებიდან, ქალთა საზოგადოებიდან და სხვ. წირვისა და ანდერძის დროს გალობდა გალობის მოყვარეთა გუნდი. მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა მ. გიორგი მრელაშვილმა. თიანეთის საზოგადოების მხრივ დაესწრო მთელი დეპუტაცია და წარმომადგენელმა ბ-ნმა მატურელოვმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც დახატა მისი მოღვაწეობა თიანეთში.

განსვენებული 10 წელიწადი სასოფლო სკოლას ემსახურებოდა და ამ მძიმე საქმეს დიდის სიბეჯითით ასრულებდა. სადაც კი ყოფილა. მასწავლებლად, ყველგან დიდის პატივით იხსენიებენ.

თავისუფალ დროს პროვინციის საჭირ-ბოროტო საქმეს ანდომებდა: სწერდა წერილებს, მოთხრობებს, სთარგმნიდა, ჰკრებდა სახალხო თქმულებათა და ლექსთა,— ერთი სიტყვით განუწყვეტლივ შრომაში იყო სრულიად უანგაროდ. მრავალი ნაწერები დარჩენია და რასაკვირველია, დარჩენილი უკეთესი ნაწილი იქმნება, როგორც უფრო მომწიფებული გონების ნაყოფი. ვისურვოთ, მკითხველო, რომ ღმერთმა საუკუნო განსვენება მისცეს ჩვენს საუკეთესო ძმას იოსებს.

ნადიკვრელი

*** **გორი. წყლის მოდიდება.** 25 მარტს მტკვარმა და ლიახვმა მოდიდება იწყეს. წყალმა წალეკა სიმაგრე ხიდის ოთხი ბოძის წინ და ამის გამო ეტლების მიმოსვლა ხიდზე შეწყვეტილია. ხიდის დასაცველად ზომების მიღების თავდარიგს შეუდგნენ. მტკვარი წალეკავს უპირებს რკინის გზის ლიანდაგს. მიუხედავად იმ ქვითკირისა, რომელიც ლიანდაგის მხარეზე აგეს, წყალი იქ, საცა ქვითკირი თავდება, მოწყვეტით უხვევს ლიანდაგისაკენ და ღონივრად აწყდება ნაპირს.

*** **ს. ჯანჯათი** (გურია). **ცეცხლში ბავშვის დაწვა.** ამ რამდენისამე კვირის წინად აქ ერთი გულის-შემზარავი და შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა—ერთს აქაურს მცხოვრებს ილ. წ—ძეს დაეწვა ცეცხლში 9 წლის ქალი. აი საქმის გარემოება: იმ დღეს, რა დღესაც ეს ამბავი მოხდა, მშობლები სამუშაოდ გასულიყვნენ იქვე მახლობლად, ხოლო სახლში დარჩენილიყვნენ ერთი 9 წლის ქალი და მეორე 7 წლის ვაჟი. სათამაშოდ უმცროსს ბავშვს დაენთო ცეცხლი სადორეში და დანთების დროს ტანისამოსზე მოჰკიდებოდა. ეს დაენახა ქალს და ყვირილით მიჰვარდნოდა მისაშველებლად; საწყალ ქალს თუმცა ის გამოეგდო სადორედან, მაგრამ ამ დროს თითონ მას მოსდებოდა ცეცხლი მთელს ტანზე. მის ყვირილზე მოცვივდნენ მშობლებიც და ვაჟი გადაარჩინეს, ხოლო ქალს-კი ისე მოჰკიდებოდა ცეცხლი, რომ ხორცი სულ მთლად დაეთუთქა. საწყალმა ქალმა მეორე დღეს, დიდის წვალებისა და ტანჯვის შემდეგ, განუტევა სული.

ასეთი შემთხვევები თუმცა ხშირია ჩვენში, მაგრამ მშობლების გაფრთხილება მაინც არ იქნა და არა. იმედია, აწე მაინც გაფრთხილდებიან ჩვენებური მშობლები, მიიღებენ-რა მხედველობაში ასეთს გულის-აღმაშფოთებელს შემთხვევას.

სოლო

*** **დ. ხაშური. გახავრული ზომები.** მოაწია თუ არა ხარებამ, აქაურის მეთევზეების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა; ნეტავი იცოდეთ, რათ უხაროდათ ეგრე ხარება, რისთვის მოელოდნენ ხარება დღის გათენებას განუსაზღვრელის სიხარულით? აი რისთვის: დღეს ისინი გაასაღებდნენ და თავიდან მოიცილებდნენ დამპალს და ყოვლად გამოუდეგარს თევზს, მაგრამ მათდა საუბედუროდ და ჩვენდა საბედნიეროდ, ამაოდ ჩაუარათ ტკბილმა ფიქრებმა. აქაურმა მამასახლისმა ბ. სიმონ მანჯავიძემ დილა-ადრიანათ ჩამოუარა სულ ყველა მეთევზეებს და რაც უვარგისი თევზი ნახა, სულ ყველა მოაგროვა და დაბის გარეთ კარგა ღრმათ მიწაში ჩაფლა. დიდს მადლობას ვუძღვნით ბ. მანჯავიძეს ეგრეთის სიკეთისათვის. თუმცა აქაური მეთევზეები ძლიერ ემდურიან ბ-ნს მანჯავიძეს, მაგრამ იმედია მათს სამდურავს არ მოერიდება და ჩვენის კეთილ-დღეობისათვის კვლავაც იზრუნებს.

ან-მანი

*** **სოფ. აკეთი** (გურია). **მადლობა შემოწირულობისათვის.** აქაურ სცენის მოყვარეთაგან 21 მარტს გამართულ წარმოდგენაზე შემოსულ ფულიდან ხუთი მანეთი და სამი კაპეიკი გარდმომეცა მე სასარგებლოდ აკეთის ორ-კლასიან სასწავლებლისა, რისთვისაც მე და მთელი საზოგადოება უგულითადესს მადლობას ეუცხადებთ ყველა იმ პირთ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს წარმოდგენის გამართვაში.

ამასთან არ შემიძლია სიხარულით არ აღვნიშნო ის გარემოება, როცა სცენაზე გამოვიდა პატარა მოწაფე ქალი იობიშვილისა 8—9 წლისა და ისეთი გრძნობიერი კილოთი წაიკითხა ზეპირათ ლექსი «წუნია სასძლო», რომ მთელი დამსწრე საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა.

მზრუნველი აკეთის ორ-კლასიანის სკოლისა
მამასახლისი პავლე თოხაძე

*** **მოზდოკი. აქაური ამბები.** ეს მესამე წელიწადია, აქეთკენ ძალიან იკლო როგორც პურის, ისე ყურძნის მოსავალმა.

ცუდის ამინდებითა და ტალახით მოზდოკი განთქმულია. აი ეხლაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიგ შუა მოზდოკში ისეთი ტალახია, რომელშიაც ხარ-კამბეჩიც ვერ შესტოპავს.

მუქთად მოხეტიალე ახალგაზდობა ჩვენშიაც ბევრია.. ამათ ყველიერში ფული დასჭირდათ, ადგნენ და ქათმების პარვა დაიწყეს. ოთხი ბიჭი შუაღამისას მიიპარებოდნენ დურგლის შიპლიაკოვის ქათმების მოსაპარავად, მაგრამ, მათდა სავალალოდ, აკი მოუსწრო პატრონმა! შეჰქნა ერთი ყვირილი და მოსცვივდნენ ღამის დარაჯებიც. შეიპყრეს ქურდები და პოლიციაში გარეკეს. ერთი თვე ქურდები დატუსაღებულნი იყვნენ. 4 მარტს სასამართლომ მათ მიუსაჯა სამ-სამი თვის ნაობახტი.

10 მარტს კიდევ გაუტეხეს სამიკიტნო გასპარ ოსეფოვს, რომელიც ამბობს—300 მანეთი ფულად და ვექსილები მომტაცესო. ქურდები ვერ იპოვეს.

გ. ღუდუშაური

** **დ. ხონი** (სამეგრელო). **ჭირნახულის ფასი.** დაბა ხონის თავში, გზა-ტკეცილის იქით-აქეთ, დგას—ყრმებთა განმანათლებელნი, სოფლის მოსამართლეები და საქმის გამრიგეები. ბოლოში იქვე აფთიაქი, ფერშალი, პოლიციის მოურავები; შუაში მოთავსებულია ორმოცი დუქანი: საფართლო და სასმელების, ვაჭრების სიმინდის მაღაზია, სადაც ფუთი იყიდება 35 კაპ., მჭედელ-ნალბანდები, მებანქოები და სხვა. გარშემო სხვა-და-სხვა საზოგადოების და სოფლების ნაწარმოებით.

როგორც სხვაგან ბაზრებში, ისე აქაც შემოაქვსთ საწყალ გლეხებს 40—60 ვერსიდან „ადესის“ ღვინოები, ქუთაისის და ფოთის, ზოგიერთ იმერულ ღვინოებზე უკეთესი, აქ იყიდება კოკა (24 ჩარექი) მანეთიდან მანეთ ნახევრამდე, ასე რომ ჩარექი ღვინო თუ შაურად დაუჯდებათ, იქეთ ჰყიდიან 15—20 კაპეიკად, მაგრამ მაინც რომ არ ფასდება გლეხის ნაოფლარი! ერთი გლეხი გაოცებული გაიძახის: ამ ტიკში სამი კოკა ღვინო ჩავწყევი? ვაჭარიც თვისის მომხრეებით ეუბნება: აი 2 ფუთის მეტი არ მოვიდა. აქ შეხვდა ვინმე ცნობის მოყვარე და უთხრა: ტიკიდან სჩანს, ღვინო მეტი უნდა იყოსო. რაკი გლეხებსაც ქომაგი გაუჩნდა, ხელ-ახლა ასწონეს და გამოვიდა ვაჭრისაგან ნაჩვენებ 2 ფუთის მაგიერ $4^1/_2$ ფუთი!

— **სანთლის ფასი:** კარგი ხანია, ერთი აქაური სასმელების მედუქნე სანთელს ყიდულობს გირვანქას ოთხი აბაზიდან მანეთამდე, რომელიც მანეთზე მანეთს მოგებას არა სჯერდება, ამნაირი სანთლის მოგების ფულები დანიშნულ ალაგას შედის თუ არა, ეს ალლახმა უწყის!

— **წვიმა ჩამოდის!** ჩვენში ჩვეულებრივ შეუწყვეტლად სწვიმს და ხონის დიდებულს მონასტერში წვიმა ჩამოდის, ისე დაძველდა ჭერი. ნეტა დრო არ არის, რომ ყურადღება მიაქციოს ვისიც ჯერ არს?

ვინმე ხონელი

** **დ. ყვირილა** (იმერეთი). **ვაზის მოშენება სოფლის მასწავლებელთაგან.** ქუთაისის სახალხო სკოლების მასწავლებელნი ბ. იანოვსკის განკარგულებით იმყოფებიან ამ ჟამად საქარის სამაგალითო საჩქოლეში. ბ. სტაროსელსკისა და აგრონომი ლუპანოვის ხელმძღვანელობით იგინი ეცნობიან თეორეტიულად და პრაკტიკულად ამერიკანული ვაზის მოვლა-მოშენებასა, რათა შემდეგაც, მოხსენებულ პირთა შემწეობით და თვალ-ყურის დევნით, თავთავიანთ სკოლებთან გამართონ მათ საცადი საჩქოლები, შეასწავლონ სკოლაში მოსწავლე შეგირდთ პრაკტიკულად ამერიკანული ვაზის კულტურა და მათი საშუალებით გაავრცელონ ხალხში ესეთი ფრიად სასარგებლო საქმე. თუმცა ათი დღე, რომელიც დანიშნული აქვსთ ვადად ერის მოღვაწეთ გასაცნობლად ამ საგნისა, ძლიერ ცოტაა, მაგრამ ამ მოკლე ხნის განმავლობაშიც მოასწრებენ იგინი დაინერგონ გულში სიყვარული იმ საგნისადმი, რომელიც უსაჭიროესი იარაღია ყოველი საქმის ანუ განზრახვის აღსრულებისათვის. იმედიც უნდა ვიქონიოთ ყოველთვის, რომ სოფლის მასწავლებელნი გულმოდგინედ და დიდის მხნეობით შეუდგებიან ამ ზნეობრივი მოვალეობის აღსრულებას, თუ სახალხო სკოლების დირექციამ ნივთიერი დახმარება მიაწოდა მათ. ბ. სტაროსელსკიც გვაიმედებს შუამდგომლობა აღძრას მთავრობასთან, რათა მასწავლებელთ ფულით შემწეობა მისცენ საჭირო იარაღების შესაძენადო.

— **[illegible] ქუჩა! სიბინძურე.** აქ ერთი ვეებერთელა ქუჩა გახლავთ, რომელიც გაჭიმულია მთელი ბაზრის სიგრძეზედ. რა დროსაც უნდა ჩამოიაროთ ამ ქუჩაზედ ყოველგვარი სიბინძურის სუნი გეცემათ: ადგილობრივი მოვაჭრეთათვის ეს ქუჩა გახლავთ: სასეირნო ბაღიც, ბულვარიც, თავლაც, ნეხვისა და ნაგვის ბუდეც, და თუ უკაცრავად არ ვიქნებით, ფეხის ადგილიც. ღმერთი არ უწყენს, რომ ადგილობრივი პოლიცია ყურადღებას მიაქცევდეს ბაზრის სისუფთავეს.. მით უმეტეს, რომ ინდოეთის „ფილოქსერა“ ადრე თუ გვიან სტუმრობას გვპირდება!..

— **გაუქმებული სამკითხველო.** ადგილობრივ წიგნის მაღაზიაში, სადაც წიგნთ-საცავ სამკითხველო არსებობდა უწინ, შევედით მე და ჩემი ამხანაგი და „ივერიის“ ახალი ნომერი მოვითხოვეთ. მაღაზიის პატრონმა უარი გაგვიცხადა: „სამკითხველო კაი ხანია დაგვიხურესო!“.. სამწუხარო ამბავია, ღმერთმანი!

ვარლამ ოზშელი

** **ს. ჭიათურა** (იმერეთი). **უწესოება.** დღე ისე არ გაივლის, რომ ჭიათურაში რაიმე ჩხუბი და აყალ-მაყალი არ მოხდეს. ყველა ამ უწესოების მიზეზი ბრძანდება ერთი ვაჭბატონი, რომელსაც აუყვანია ერთი ზნე-დაცემული ქალი, ვითომ ცოლად და მასთან ერთად დაუბუდნია შუა ბაზარში. დაეძებს ეს ვაჭბატონი მოქეიფე ყმაწვილებს, მოჰყავს ისინი თავის ბინაზე, სადაც ცოტა ხნის შემდეგ მთვრალი ყმაწვილები ასტეხენ ჩხუბს, ყვირილს და ფანჯრების მტვრევას, და თუ ვინმემ მახლობლად ქუჩაზე გაიარა, ვაი მისი ბრალი, გაულანძღავი ვერ გადაურჩება ამ მოქეიფე ვაჭბატონებს. ურიგო არ იქნება, ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას, ვისიც ჯერ არს.

სიმონ ქავთარაძე

** **ს. ჩიბათი.** (გურია) **ქურდების თავ-დასხმა.** 20 თებერვალს, ღამის 12 საათზე, ერთ ქალს, რომელსაც ქმარი იმ დროს ტყეში ჰყოლოდა, თავს დაესხნენ სახლში ვიღაც ბოროტ-განმზრახველნი. ქალი ცალკე ჩაკეტილ ოთახში იწვა და როცა ბოროტ-გამზრახველთ კარის შემტვრევა დააპირეს, ქალმა ბოხი ხმით დაიწყო ლაპარაკი და დაიძახა თოფი, სად არის ჩემი თოფიო. ამ ხმის გაგონებაზე ბოროტ-გამზრახველნი დაფრთხნენ და მოქუსლეს. ერთი მათგანი იატაკზე დაეცა და ამხანაგმა ძლივს წამოაყენა ფეხზე. სანამ ისინი სახლს გაშორდებოდნენ, ქალმა სახლში ხმიანობა და ფეხის ბრაგუნი ასტეხა, თითქო ბევრნი ვართო, და თან გაიძახოდა, არ მოკლა, არ გახვიდეო, თითქო ქმარს აკავებდა. შემდეგ ქალმა დარბაზიდან ცქერა დაუწყო გაქცეულებს, რომლებმაც შუა ეზოდან შემოსძახეს მას: გარეთ არ გახვიდე, თორემ რევოლვერით მოგკლავთო. როცა ჭისკარს მიუახლოვდნენ, დასჩეხეს ხანჯლით, ორი ძირი ჩინარის ხე. ქალმა მეორე დღეს მამასახლის განუცხადა ყოველივე ეს და დასძინა ორივე ბოროტ-გამზრახველნი ტანისამოსზე და ხმაზე ვიცანიო. დაიბარეს ერთი დასახელებული ყმაწვილი, მაგრამ მან უარი განაცხადა და თან მოწმები წარადგინა, ღამის 12 საათზე მე ვიწექიო. ხევის თავმა კი უარ-ჰყო ასეთი ჩვენება და ეს ყმაწვილი დამნაშავედ სცნო. იმავე ღამეს, როგორც აღმოჩნდა, ეს ყმაწვილი მთვრალი ყოფილიყო თავის ამხანაგთან ერთად და ორივეს დუქნის სვეტები დაეჩეხათ.

არტ. ებრაელიძე

** **ჭალადიდი.** დარწმუნებული ვიყავით, რომ აქეთ მოისპო ყოველისფერი ავაზაკობა, მაგრამ ვაი თქვენს მტერს, ხელ ახლად გვიბრუნდება მგონი წარსული წლის მზგავსი დრო და ამის ნიშნებიც სჩანს კიდეც. ერთი საწყალი მოვაჭრე ურია, რომელიც სოფელ-სოფელ ფართლებს დაათრევდა ერთი მკვდარი ცხენით, სამი დღე სახლში აღარ დაბრუნებულა, მხოლოდ ცარიელი ცხენი-ღა ნახეს, მაშინვე მიხვდნენ საქმე საფარსაგო არ იყო და მაზრის უფროსს ქავთარაძეს შეატყობინეს; მაზრის უფროსიც, რასაკვირველია, ფიცხლავ წავიდა, რომელმაც თან იახლა ჭალადიდის მამასახლისიც. სადაც საეჭვო ალაგი იყო, იქ შეუდგნენ ძებნას, რომელიც ძლივს იპოვნეს ერთს დაბურულ ტყეში ხანჯლით აკუწული და მიგდებული იქვე ტალახში. ამ ტყეს სახელად ჰქვიან სირიაჩკონი, რომელიც ჭალადიდს აკრავს. მაზრის უფროსმა ქავთარაძემ მაშინვე დეპეშით აცნობა ქუთაისში გუბერნატორს ეს შემთხვევა.

ჭალადიდელი

** **ფოთი.** **უმწეობა წყალზე.** ამ სამის დღის წინეთ საუბედუროთ მომიხდა ფოთში ნავით გასვლა ბუხტში, რომელმაც თავ-ბედი ვიწყევლე, ისეთი უსიამოვნება გამოვიარე. თექვსმეტს კაცს რომელნიც ერთს დანჯღრეულ ფელუკაში ვისხედით ერთი ყმაწვილი ბიჭი ძლივს მიგვათრევდა; ისე გაუჭირდა ფელუკის ტარება იმ საშინელ დიდს წყალში, რომ შიშით აღარ ვიცოდ რა საშუალება აღმოგვეჩინა. ხუთი მინუტის სავალი გზა, სწორედ ერთ საათამდე ვიდექით. ფელუკი წყალში აქეთ-იქით ქანაობდა, მეფელუკე ვერა ღონისძიებით ვერ ერეოდა. ბავშვებს ისე შეეშინდათ, ერთს აღარ ედო ადამიანის ფერი. ნუ თუ არ უნდა მიაქციონ იმისთანა დაუდევრობას ყურადღება, ვისიც ჯერ არს? მე მართალია ერთხელ შევხვდი ამისთანა უსიამოვნებას, მაგრამ საუბედუროთ აქაურები უქმე დღეებში უარესებსაც ხედავენ ხოლმე.

ნატო

რედაქციისაგან

ქუპაში. გიორგი ნაცვლიშვილს ადრესის გამოცვლა ღირს ორი აბაზი; შეიძლება მარკებითაც გამოგზავნოთ.

ქუთაისში. მოგზაურს. მებუფეტეს უწეს-რიგობაზე ისევ რკინის გზის მთავრობას რომ შესჩივლოთ სჯობია ან არა და საჯარიმო წიგნში ჩაუწერეთ ურიგო საქციელი.

არ დაიბეჭდება შემდეგი წერილები:

აცანიდან—გიტო ჩხაიძისა.
ლანჩხუთიდან—არტემ ებრაელიძისა.
ქუთაისიდან—არტემ ებრაელიძისა.
აბედათიდან—ერთი ტანჯულთაგანისა.

სიტყვა,

თქმული მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესის ფლაბიანეს მიერ ბზობის კვირას სიონის ტაძარში.

მაცხოვარი ჩვენი უფალი იესო ქრისტე, თავისი ნებით სატანჯველად გამზადებული, ოდესღაც «ოსანნას» ხმა მაღალ ყვირილით გარემოცული, იერუსალიმს შედიოდა, აღვსილი დიად-მზრუნველობით დაცემულ ადამიანის აღსადგენათ და ადამიანთა გულში, თავისი ჯვარცმით და ტანჯვით, ღვთის სიყვარულისა და სათნოების ჩასანერგად.

აწ, წმ. ეკკლესიის ამ დიდებულ დღესასწაულ დღეს, მეც, უღირსი მოსამსახურე ქრისტესი, მოვსულვარ, რათა ვემსახურო წმ. ქართულ ეკკლესიას; აღვსილი ვარ მწყემსური ზრუნვით თქვენს ცხონებაზე და თქვენთვის საუკუნო ნეტარების მოპოებაზე. გარდმოავლინოს უფალმა თავისი ლოცვა-კურთხევა ჩემს მომავალ მოქმედებაზე და ამისრულოს კეთილი სურვილები თქვენის სულიერი კეთილ-დღეობის მოწყობის შესახებ. გულ-ათრთოლებული მოველ მე აქ, ამიერიდან ჩემსამშობლო, ივერიის ქვეყანაში, სადაც დღემდე ყველა ჭეშმარიტ მორწმუნე ძეთა გულში-მოისმის წმ. ნინოს მოციქულებრივი ხმა, რომელმაც გახარათ თქვენ ქვეყნის მხსნელის ამბავი, სახარების მოძღვრება, სასწაულები, უფლის ჩვენის იესო ქრისტეს მხსნელი ტანჯვა, სიკვდილი და აღდგომა. ეს სასიქადულო ქვეყანა მორწყულია წმ. მოწამეთა სისხლით, ეს ქვეყანა აღსავსეა წმიდა ანდერძებით და ძველი დროის გადმოცემებით: ძველ ტაძართა და წმ. მონასტრების დიდებული ნაშთები უსიტყვოდ, მაგრამ ყოველ სიტყვაზე უძლიერესად, გვაუწყებენ ჩვენ სარწმუნოების იმ უძლეველ ძალას, რომელიც აერთებდა ძველ საქართველოში მეფეებსაც და უბრალო ადამიანთაც ერთ დიდებულ ღვთის სამეფოდ, რომელსაც ვერ არღვევდა ხილულ და უხილავ მტერთა ბოროტ-განზრახვა. როგორც მთის ნაკადული, რომლის წმინდა წყალი ვერცხლებრ ელვარებს და რომელშიაც ლაპლაპი გაუდის მზის სხივებს, ჩამორბის მთიდან და სწრაფად მიექანება მთის ხეობაზე, აცოცხლებს მას და მწირ კლდეებს საუცხოვო ყვავილებით ჰმოსავს, ისე საქართველოს წმიდა მართლ-მადიდებელი სარწმუნოება, გარდმოვლენილი ზეციდან მოციქულთა სწორის ნინოს წმიდა გულში, ყველგან საქართველოს ისტორიის ბრწყინვალე და სამწუხარო წუთებში ელვარებს სახარების სხივებით, რომლებშიაც იხატება ყოვლად მოწყალე ღმერთი, აცოცხლებს საქართველოს და ამკობს საქართველოისა და მოსაზღვრე ქვეყნების ერთგულ ძეთ უმაღლეს ქრისტიანულ ქველობით. მე ახლაც ვხედავ ამ წმიდა სარწმუნოებას. იგი ანთებულია თქვენს გულში ელვარე ლამპრად, იგი გამოსჭვივის თქვენი თვალებიდგან, მან მოგიყვანა თქვენ ამ წმ. ტაძარში, რომ ჩემთან ერთად პირველად ილოცოთ, იგი გულითადი ყურადღებით მოგასმენსთ ლოცვის სიტყვებს, იგია საუკეთესო თავმდები თქვენი სულის ცხონებისა, იგია ჩემი სასოება ჩემი მწყემსური შრომის დროს საქართველოს სამწყსოში. შეიქმნეს იგი, წმ. სარწმუნოება, თქვენზე საქართველოს განმანათლებელის, მოციქულთა სწორის წმ. ნინოს მიერ ნაანდერძევი, ქრისტეს წმიდა კავშირად, რომელმაც უნდა შეუერთოს ჩემი სიყვარული თქვენს გულს და თქვენს ნდობას ჩემდამი. აღმოგხადოსთ მან გულის სიღრმიდან მხოლოდ სასიხარულო ხმები: „ოსანა ძესა დავითისასა, ოსანა მაღალთა შინა“. განდევნოს წმიდა სარწმუნოებამ ჩვენი ცხოვრებიდან და ჩვენი ურთიერთობიდან ყოველივე ბოროტება და სიცუდე. გააძლიეროს უფალმა თქვენი სარწმუნოება და განამტკიცოს წმიდა სარწმუნოებამ თქვენს გულში ღვთის სათნოება და სიყვარული, ქრისტე მაცხოვრის მიერ ნაანდერძევი: «ძმანო, ილოცეთ ჩვენზედა, და მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი იყოს თქვენზედა, ამინ. (I. სოლ., V).

თეატრის მატიანე

ქ. სოხუმი. **ქართულ-რუსული წარმოდგენა.** თითქმის ერთი წელიწადი გადის, რაც ქართულს ენაზე წარმოდგენა არ გამართულა სოხუმში. ამიტომ გასაკვირველიც არ არის, თუ რა ზომის მოუთმენლობით მოელოდა ქართველი საზოგადოება 22 მარტისათვის დანიშნულს წარმოდგენას! რა თქმა უნდა, დიდად უნდა უმადლოდნენ დიდად პატივცემულს თავადის ასულს, ანასტ. ვარ. წერეთლისას, რომელმაც თავთ იდვა ამ წარმოდგენის გამართვა. წარმოდგენას დანატრულებული საზოგადოება დანიშნულს დღეს მით უფრო მოაწყდა ადგილობრივის კლუბის დარბაზს, რომ შემოსავალი დანიშნული იყო სასარგებლოდ იმ ყოვლად სიმპატიურის და სასარგებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო საზოგადოებისა, რომლის დანიშნულება არის — წერა-კითხვის გავრცელება ქართველთა შორის. ადგილობრივის სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იყო სამი პიესა, ერთი ქართულად და ორიც რუსულად. რუსულად წარმოადგინეს პოლონელ მწერლის კრიუკოვსკის სამ მოქმედებიანი კომედია, „ფულიანი ტუზები" და ბაჟანოვის ერთ მოქმედებიანი ვოდევილი. ხოლო ქართულად დადგმულ იქმნა ვალ. გუნიას მხიარული ვოდევილი „ადვოკატთან". რუსული პიესები სცენის მოყვარეთა გულ-მოდგინების წყალობით, ჩინებულად იქმნა შესრულებული. განსაკუთრებულის ქების ღირსნი ბრძანდებიან თვისის დაკვირვებულისა და შეგნებულის თამაშობისათვის: თავადის ასული ან. წერეთლისა, ს. თ. ფონ-ბერგჰოლცისა და ბ. ა. გორსკისა. საზოგადოდ-კი, მთელს პიესას ეტყობოდა გამოცდილის რეჟისორის ხელი და მუყაითობა.

რაც შეეხება ქართულს პიესას, არც ის იყო ურიგოდ შესრულებული. თავადის ასულმა ან. წერეთლისამ (ნაზიანისა) და მაკრ. თურქიას ასულმა (მართა ანჩხლაძისა) სავსებით გამოიჩინეს თავიანთი ნიჭი შეგნებულ მსახიობთა. არა უშავდათ-რა დანარჩენ მსახიობთაც, ორიოდეს გარდა.

დამსწრე საზოგადოებამ ქართულ პიესაში მოთამაშენი ვოდევილის გათავების შემდეგ განუწყვეტელი ტაშის კვრითა და ვაშას ძახილით გამოიწვია და სცენა კამელიის ყვავილებით აივსო. წარმოდგენის დასასრულ თავადის ასულმა ან. წერეთლისამ და ცნობილმა მოლეკურემ ბ-ნმა თეო გაბუნიამ, ქულაჯაში გამოწყობილმა, მოხდენით ითამაშეს ლეკური, რომელმაც აღტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება. ბოლოს, ქართველმა საზოგადოებამ ნიშნად გულ-წრფელის მადლობისა ცოცხალი ყვავილების მშვენიერი თაიგული მიართვა წარმოდგენის მოთავეს თავადის ასულს, ანას. ვ. წერეთლისას იმ უანგარო შრომისათვის, რომელიც მან გასწია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ.

წარმოდგენას აუარებელი ხალხი დაესწრო. კლუბის დარბაზში ტევა აღარ იყო. ბევრი უკან დაბრუნდა უადგილობისა გამო. სხვათა შორის, წარმოდგენაზე ბრძანდებოდა უგანათლებულესი თავადი პეტრე გრუზინსკი. მთლად შემოსავალი ოც და ხუთ თუმანს აღემატება.

—

ქ. ბაქო. ქართული წარმოდგენა. 25 მარტს, ბაქოში ტალიევის თეატრში წარმოდგენა გამართა ი. მჭედლიშვილმა. ითამაშეს „კინტო" კომედია აკაკისა. ხალხი ბლომად დაესწრო.

თუ როგორ შეასრულეს თავიანთი როლები მოთამაშეებმა ადვილი წარმოსადგენია, რადგან ქალაქიდან მოწვეული ქალ. რჩეულოვისა და ბ-ნ სიმონიძეს ბ-ნ მჭედლიშვილმა გვერდში ამოუყენა ისეთი სცენის მოყვარენი, რომელთაც არამც და არამც არ მართებთ სახიობა. ამიტომაც მეტის-მეტად უგემურად ჩაატარეს მხიარული პიესა. ტყუილად კი არ აღკრძალა პატივცემულმა აკაკიმ თავის პიესების წარმოდგენა ყოვლად უვარგისი სცენის მოყვარულებთა თუ უპირო მსახიობთაგან. ასეა თუ ისე ბ-ნ მჭედლიშვილმა მითამდა „წარმოდგენა გამართა". ისარგებლა შემთხვევით და ოთხასამდე მანეთი ფული ჩაიჩხრიალა ჯიბეში!.. პიესის შემდეგ უნდა ემღერა ბ-ნ კავსაძეს, რომელსაც მოუთმენლად ელოდა საზოგადოება, მაგრამ ამაშიაც მოსტყუვდნენ. ბ-ნი კავსაძე სულაც არ მოსულა ბაქოში, ან უკეთ რომ ვსთქვათ, არც კი ყოფილა მოწვეული. ამაზედ ბ-ნ მჭედლიშვილმა ბოდიშიც არ მოიხადა საზოგადოების წინაშე. ასეთი საქციელი და «წარმოდგენების მართვა», ბევრ ცუდს რასმე დაჰმართებს ჩვენს ეროვნულ ხელოვნებას და მერე მითამ ბ-ნი მჭედლიშვილი აგებს პასუხს.

დ. როსტომიშვილი

სამეურნეო ცნობანი

—

თესლის ავ-კარგობა. ხშირად გაგონებთ ხოლმე საყვედურს: „თესლები გამოვიწერე, დავთესე, კარგათ უვლიდი, მაგრამ ნაყოფი არ მომცაო» ან და თესლების გამყიდველი, რომელსაც ესაყვედურება მყიდველი გლახა თესლების გაყიდვაზედ, თავს იმართლებს შემდეგით: «მე კარგი თესლი მოგყიდე, მაგრამ შენ კარგათ ვერ დაგითესიაო». ამისთანა საყვედური უადგილო იქნებოდა თუ რომ მეურნეს სცოდნოდა ის საიდუმლო, რომელიც ჰმალავს ამისთანა უსიამოვნებას. მეურნემ უნდა იცოდეს უსათუოთ კარგ თესლს სთესავს ის თუ ცუდს. ამის შეტყობა სულ ადვილია. ამისთვის აიღეთ ანგარიშის გასაადვილებლად ასი მარცვალი და ჩადევით დასველებულ ორ რამე ფანელის ან სხვა ფართალის ნაჭერ შუა და დადევით სადმე თბილ ადგილზედ. მეორე მესამე დღეს გადაათვალიერეთ და თუ შეატყობთ ფართალს სიმშრალე დაასველეთ სახლში ნამყოფ წყლით. რამოდენიმე დღის შიგნით შეატყობთ, რომ ზოგიერთი მარცვალი ამოსულა. ამოსული რომელიც არის ის მოაშორეთ და დანარჩენი დაიტოვეთ. ვთქვათ უკანასკნელად დარჩა 25 მარცვალი ამოუსვლელი. მაშასადამე დაკარგულა, უნაყოფოთ დარჩენილა ოცდა ხუთი პროცენტი, ე. ი. ერთი მეოთხედი ასისა. მაშასადამე ას მარცვლის მაგიერ რომ აგვეღო, მაგალითად, ასი გირვანქა, ნაყოფს მისცემდა მხოლოდ სამოცდა თხუთმეტი გირვანქა და უნაყოფოთ დარჩებოდა ოცდა ხუთი გირვანქა. ამ ნაირი გამოკვლევა გველაპარაკება თუ რამდენი (წონით) უნდა დაითესოს თესლი. ვთქვათ რომელიმე მცენარის თესლი დასათესავათ უნდა ქცევაზედ ორი ფუთი და ნახევარი. გამოკვლევამ გვაჩვენა, რომ უნაყოფოთ დარჩება ოცი პროცენტი (ოცი გირვანქა ასზედ). მაშასადამე უნდა დავთესოთ ორ ფუთ ნახევრის მაგიერ ორი ფუთი ნახევარი და კიდევ ოცი გირვანქა, ე. ი. სამი ფუთი. გარდა ამისა ამისთანა გამოკვლევა ნათლათ გაამტყუნებს უნამუსო გამყიდველს თესლისას და გაამართლებს პატიოსანს ვაჭარს. მაგრამ საუბედუროდ, აქ კიდევ ერთი ისეთი მიზეზი იმალება, რომელიც უდანაშაულოდ სჭრის კარგ თესლების გამყიდველს. თუ რომ მყიდველი ცუდი მეურნეა ადვილად შეიძლება, რომ თესლები შესანიშნავი კარგია, დათესეთ, მაგრამ ერთი მარცვალიც არ ამოვიდა, ან დათესილ მცენარის მაგიერ სულ მეორე ამოვიდა, სულ უბრალო, ველური ბალახი. აქ ვინ არის დანაშაული? თუ რომ თესლები კარგი იყო, თესლებში სხვა რამ მარცვალი არ ერია, დანაშაული არის თითონ მეურნე და მისი მიწის დასამუშავებელი იარაღი, როგორც მაგალითად კავი ქუთაისის გუბერნიაში.

ნ. მკურნალი

განცხადებანი

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულს საზოგადოებას, რომ 31 მარტიდან დაიწყება ქიტესა გაჩნიძის მაღაზიაში ვაჭრობა **გამომცხვარი**

პასკებისა

აგრეთვე ცოცხალი ბატკნებისა და გოჭებისაც. ყოველივე იაფად. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ შემდეგის ადრესით: მთაწმინდა, ლაბორატორიის ქუჩა, მაღაზია ქიტესა გაჩნიძისა, № 44. (3—1

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს საყოველთაო საცნობლად, რომ 31 მარტს, ნაშუადღევის 1 საათზედ, გამგეობის სადგომში მოხდება მეორედ და უკანასკნელად

საჯარო ვაჭრობა

იმ დუქნებისა და სარდაფების იჯარით გასაცემად, რომელიც გოლოვინის პროსპექტზედ ქალაქის სახლში იმყოფება.

დაწვრილებითი პირობების განხილვა მსურველს შეუძლიან გამგეობაში ყოველ დღე შუადღის 12 საათიდგან 2 საათამდე კვირა-უქმეების გარდა. (3—3)

ქვრივი ქალი

ეძებს

მოსამსახურის ადგილს

(ოჯახში)

მოიკითხონ: წყნეთის ქუჩა, ალექსი მესტაკოვის სახლი, № 19. (5—5)

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში იყიდება ფას-დაკლებით გრ. ტატიშვილის შემდეგი სურათებიანი საყმაწვილო გამოცემანი:

1, ბედები	10 კ.
2, ხუმარა სპილოები	10 კ.
3, კეთილი ძალლი .	10 კ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ 50 ცალისა, წიგნი დაეთმობა 8 კაპ.

აქვე იყიდება ფოსტის ქაღალდი ერეკლე მეფისა და ი. ჭავჭავაძის სურათით, ექვსი თაბახი—10 კ.

(10—4)

საზღვევი საზოგადოება

„იაკორი"

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს მოსკოვში

ტფილისის უმთავრესი სააგენტო

ღებულობს:

დაზღვევას ცეცხლისაგან

ყოველ-გვარ უძრავ და მოძრავ ქონებისას.

დაზღვევას სიცოცხლისა და თანხებისა

შეღავათიანის პირობებით, მაგალითად შეღავათი იმ შემთხვევაში, როცა დაზღვეულს შრომა არ შეუძლიან და აგრეთვე დაზღვეულს სარგებლობა ეძლევა საზოგადოების მოგებიდან.

დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან

მიიღებიან საერთოდ დაზღვევა მუშებისა, ქარხნებსა და სახელოსნოებში, აგრეთვე დაზღვევა კერძო პირებისა.

დაზღვევა გაგზავნილ საქონლებისა

ზღვაზედ, მდინარეებზედ თუ ხმელეთზედ, აგრეთვე დაზღვევა გემებისა.

თხოვნებით და ყოველ-გვარ ცნობათა შესატყობად დაზღვევაზე შეიძლება მიჰმართონ ტფილისის კონტორაში უმთავრესს აგენტს ალექსანდრე გრიგოლის-ძეს სერგეევს, ერევნის მოედნის ყურში თავ. ციციშვილის სახლებში № 2. და აგრეთვე მოსკოვში საზოგადოების გამგეობაში.

Страховое Общество **„ЯОРЬ"**

Высочайше утвержденное въ 1872 г. въ Москвѣ

Принимаетъ: 1)Страхованіе отъ огня, 2) страхованіе жизни и капиталовъ. 3) страхованіе отъ несчастныхъ случаевъ и 4) страхованіе транспортовъ.

Контора Тифлисскаго Главнаго Агента, Александра Григорьевича Сергѣева

на углу Эриванской площади д. кн. Циціанова № 2.

(50—10)

Подписка на 189с годъ

НА ЖУРНАЛЪ

„ДѢЯТЕЛЬ".

Въ качествѣ сотрудниковъ изъявили желаніе принять участіе профессора: А. И. Александровъ, Е. Ѳ. Будде, А. Ѳ. Гусевъ, Л. О. Даркшевичъ, И. М. Догель, Г. Ѳ. Дормидонтовъ, Н. П. Загоскинъ, В. Ф. Залѣсскій, Н. А. Засѣцкій, М Я. Капустинъ, Н. Ѳ. Катановъ, Ѳ. Г. Мищенко, А. В. Поповъ, П А. Никольскій, О. А. Рустицкій, И. Н. Смирновъ, Н. В. Сорокинъ, Е. П. Янишевскій, А. И. Подбѣльскій. кромѣ того: А. В. Нечаевъ, В. Н. Агоѳоновъ, С. С. Бырдинъ, С. М. Капустина, Л. Ѳ. Мищенко, Я. Посадскій, Р. В. Ризположенскій, С. М. Смирновъ, В. А. Никитская, С. Н. Сорокина, М. С. Сегель, П. В. Траубенбергъ, свящ. В. А. Охотинъ, В. А. Ислентьевъ, М. В. Казанскій, М. Д. Закревская и М. А. Готвальдъ.

Программа журнала слѣдующая:

1. Правительственныя распоряженія.
2. Статьи литературнаго, экономическако, гигіеническаго, педагогическаго и медицинскаго содержанія.
3. Повѣсти, разсказы, стихотворенія и другія статьи бытового, нравственнаго и историческаго содержанія.
4. Письма изъ провинціи.
5. Свѣдѣнія, полезныя въ жизни.
6. Изъ жизни и печати.
7. Свѣдѣнія о дѣятельносги благотворительныхъ учрежденій.
8. Борьба съ пьянствомъ въ Россіи и другихъ странахъ.
9. Свѣдѣнія о дѣятельности Обществъ Трезвости въ россіи и за границею.
10. Протоколы Казанскаго Общества Трезвости.
11. Критика и библіографія.
12. Объявленія.

Подписная цѣна за годъ 2 рубля.

Адресъ редакціи: Казанъ, типографія Императорскаго Казанскаго Университета, Черноозерская улица, собствен. домъ.

Чрезъ редакцію журнала «Дѣятель» можно пріобрѣтать слѣдующія книги:

„Дѣятель" журналъ за 1896 годъ безъ перваго №—2 р.

Царь-Освободитель, преобразователь и просвѣтитель Россіи, Императоръ Александръ II. А. И. Александрова . . .	› р. 20 к.
Отчего гибнутъ люди. За сотню.	1 р. › к.
Всемѣрно должно удаляться отъ пьянства. Тихона Задовскаго. За сотню.	1 р. › к.
Вино-ядъ. Защитникамъ умѣреннаго употребленія вина. Рускимъ матерямъ. За сотню. . . , ...	1 р. 50 к.
Слова отца Іоанна Ильича Сергіева противъ пьянства. За сотню	1 р. › к.
Вино для человѣка и его потомства—ядъ. За сотню. .	2 р. › к.
Въ защиту вина	› р. 20 к.
Спиртные напитки, какъ располагающая причина къ разнаго рода заболѣваніямъ человѣка. И. М. Догеля. (Одоб. учен. комит.	› р. 40 к.

(6—6) Редакторъ-издатель **А. Соловьевъ**

Дозволено цензурою. Тифлисъ, 30-го Марта, 1898 г.

სტამბა ქქ, ი. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქ. № 28.

რედაქტორ-გამომცემელი **ვალ. გუნია.**